



გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 82

2023 წლის 15 მაისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული ქუჩების სახელდების შესახებ

„გეოგრაფიული ობიექტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილია ინიციატივა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების - გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული სახელწოდების არმქონე ქუჩების არაბული ციფრების გამოყენებით სახელდების შესახებ.

იქედან გამომდინარე რომ, ზემოთაღნიშნული დადგენილების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო, მიზანშეწონილია საკითხი გატანილო იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ მე-8 მუხლის მე-7, მე-8 პუნქტების, მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების შესაბამისად

1. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდაში არსებულ ქუჩებებს მიენიჭოს სახელები თანდართული N1 დანართის შესაბამისად.
2. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ არბოში არსებულ ქუჩებებს მიენიჭოს სახელები თანდართული N2 დანართის შესაბამისად.
3. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბაში არსებულ ქუჩებებს მიენიჭოს სახელები თანდართული N3 დანართის შესაბამისად.
4. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენში არსებულ ქუჩებებს მიენიჭოს სახელები თანდართული N4 დანართის შესაბამისად.
5. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახრისში არსებულ ქუჩებებს მიენიჭოს სახელები თანდართული N5 დანართის შესაბამისად.
6. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერბუკში არსებულ ქუჩებებს მიენიჭოს სახელები თანდართული N6 დანართის შესაბამისად.

83. განკარგულება გაეგზავნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“, რათა განკარგულების მიღებიდან 10 დღის ვადაში მოახდინოს ვებგვერდზე მისი გამოქვეყნება.
84. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
85. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი; სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით რაზმაძე